სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

20 მარტი 2025

NCDC 2 25 00000058

ქ.თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბური ტალღების ზემოქმედების საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკების მართვის გზამკვლევი

„თბურ ტალღებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკების მართვის 2024-2030 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 19 დეკემბრის №94/ნ ბრძანების და “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ და “უ” ქვეპუნქტების საფუძველზე, თბური ტალღების ზემოქმედებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკების შესამცირებლად და კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, „თბური ტალღების ზემოქმედების საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკების მართვის გზამკვლევი“ თანდართული დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებზე მზადყოფნის და რეაგირების სამმართველოს (ა. ტატულაშვილი) ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „თბური ტალღების ზემოქმედების საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკების მართვის გზამკვლევის“ გაცნობა სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის ერთობლივი სამუშაოების დაგეგმვის მიზნით.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი #64) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
პაატა იმნაძე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად